ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მამუკა რიჟამაძის სულხან-საბას და ვაკისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლებთან ანგარიში

შეხვედრის დრო: 2020 წლის 27 ნოემბერი. 16:00 სთ.

შეხვედრის ადგილი: ქუთაისის სულხან-საბას ადმინისტრაციული ერთეული

,,სულხან-საბას" და ,,ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლებთან შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ,,სულხან-საბას" და ,,ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი, ბატონი მამუკა რიჟამაძე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის,,სულხან-საბას" და,,ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები (10 მოქალაქე), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი დავით ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე, ბატონი ლაშა გვენეტაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარე, ბატონი ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ვლასი გარდაფხაძე, მერის წარმომადგენელი სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულში, ბატონი გიორგი მუქერია, მერის წარმომადგენელი ,,ვაკისუბნის" ადმინისტრაციულ ერთეულში, ბატონი გიორგი მამასახლისი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ლიკა ჩახუნაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათია ცირეკიძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ გახსნა შეხვედრა და წარმოადგინა ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგი დღის წესრიგი:

,,სულხან-საბასა" და ,,ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი საკრებულოს წევრის, მამუკა რიჟამაძის 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ,,სულხან-საბას" და ,,ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი საკრებულოს წევრის, მამუკა რიჟამაძის 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ,,სულხან-საბას" და ,,ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი საკრებულოს წევრი, ბატონი მამუკა რიჟამაძე: „2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ჩემი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ შევხვდე მოსახლეობას და წარმოვუდგინო ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

დავიწყებ სულხან-საბას ადმინისტრაციული ერთეულით:

მიმდინარე წელს დასრულდა სულხან-საბას ცენტრალურის გზის მეორე ნაწილის მშენებლობა, ასევე „სულხან-საბასა" და „ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზების მშენებლობა .

მიმდინერე წელს დაგეგმილია სულხან-საბას გამზ. N43, N79, N99 საცხოვრებელი კორპუსის ეზოების რეაბილიტაცია.

მოეწყო N 95-სა და N 85-ს შორის მისასვლელი გზა, რომელიც დაუკავშირდა „სულხან-საბასა" და „ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზას.

მოეწყო შიდა კვარტალური გზა N 21 საცხოვრებელი კორპუსიდან N 65 საცხოვრებელ კორპუსამდე.

სსიპ. ქ.ქუთაისის N 38 საჯარო სკოლის უკან და გვერდით ასევე სსიპ. ქ.ქ ქუთაისის N 29 საჯარო სკოლის წინ მოეწყო ტროტუარი.

მოეწყო სულხან-საბას მე-5 ჩიხში ასფალტირებული გზა.

გადაიხურა სულხან-საბას გამზ. N19, N57, N69, N43, N57ა, N91 საცხოვრებელი კორპუსი

დაიწყო ავტო პარკის მოწყობა სულხან- საბას ადმინისტრაციულ ერთეულში .

მატერიალური დახმარებები სარეზერვო ფონდიდან 2020 წელს 97 მოქალაქეს გაეწია.

N29 საკარო სკოლასა და N8 ბაგა-ბაღს შორის დაირგო 50 ძირი წიწვოვანი ხე.

მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები N 4 შერეული პოლიკნიკაში .

სულხან-საბას გამზ. N 83 - ის I და II სადარბაზოს უკან მოეწყო დამცავი ზღუდე ბეტონის საფარის გრუნტის წყლის შესაკავებლად.

მოეწყო სავარჯიშო ტრენაჟორი სულხან-საბას N73, N59, N57 საცხოვრებელ კორპუსებს შორის.

რეაბილიტირდა სპორტული მოედანი სულხან-საბას N25, N41 საცხოვრებელ კორპუსებს შორის.

მოეწყო სპორტული მოედანი სულხან-საბას N53 წინ.

"სულხან-საბას" ადმინისტრაციულ ერთეულში მძიმე ტექნიკის საშუალებით გაიწმინდა სულხან-საბას გამზ. შემოვლითი გზის მიმდებარე ტერიტორია

გამოიცვალა 50-მდე დაზიანებული ლამპიონი სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულში.

ახალი ტიპის პროჟექტორით განათდა „სულხან-საბასა" და „ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა .

გამოიცვალა 4 ცალი დაზიანებული ნარჩენ შემკრები ურნა.

გაიწმინდა სანიაღვრე ქსელი სულხან-საბას, ს. გუგუნავასა და შევჩენკოსა და ზ. გამსახურდიას ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები.

ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ შეიწამლა სულხან-საბას, ს. გუგუნავასა და შევჩენკოსა და ზ. გამსახურდიას ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ შეიწამლა სულხან-საბას, ს. გუგუნავასა და შევჩენკოსა და ზ. გამსახურდიას ქუჩები და მათი მიმდებარე ტერიტორიები ცივი შეწამვლით.

დაითიბა სულხან-საბას, ს. გუგუნავასა და შევჩენკოს ქუჩების და საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიები.

სულხან-საბას ადმინისტრაციული ერთეულისა და N38-ე საჯარო სკოლის ინიციატივით დასუფთავების აქცია გაიმართა

24 ერთეული ძელსკამი დაიდგა სულხან-საბას , ზ. გამსახურდიას , ს. გუგუნავას სხვადასხვა ლოკაციაზე საერთო სივრცეში განსათავსებლად.

უსასყიდლოდ გადაეცა სარდაფებიდან წყლის ამოსატუმბი 9 (ცხრა) ტუმბო საცხოვრებელ კორპუსებს.

მიმდინარე წელს დასრულდა სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულში დასასვენებელი სკვერი.

შშმ. პირების 30 ოჯახს გადაეცა სასურსათო ნობათი.

"ვაკისუბნის" ადმინისტრაციული ერთეულში, რ.თაბუკაშვილის ქუჩის N205 და N36-ში შეკეთდა ლიფტები, დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია მოხდა რ.თაბუკაშვილის ქუჩის N116 და ხუნდაძის ქუჩის N51ა-ში.

კ.გამსახურდიას N58, ქ. დადიანის N57, რ. თაბუკაშვილის N 223 და გ.მაისურაძის N 11- ბინებთან მოეწყო საბავშვო ატრაქციონები.

კ. გამსახურდიას ქ. მე-8 შეს, კ. გამსახურდიას ქ. ს. თოფურია, ს. ზაქარიაძის ქ. გ. მაისურაძის ქ. დადიანისა და ს. ხუნდაძის კერძო დასახლებაში დაიდგა ძელსკამები. სულ 26 ერთეული.

ფ. კაკაურიძის ქ. N1, 3, 5, 7, 9; მიმდებარედ ხუთი ცხრასართულიანი კორპუსთან მოეწყო სპორტული მოედნი რომლითაც სარგებლობს შ. დადიანის და ს. ხუნდაძის ქ. კერძო დასახლებაც;

რ.თაბუკაშვილის N98, N203, N88 და ფ. კაკაურიძის N1 ბინებს დაზიანებული სახურავი შეუკეთდა.

გადაიხურა კოდორიდან დევნილების ბინა სადაც 76 ოჯახი ცხოვრობს;

ფ. კაკაურიძის ქ. N1, N5, N9 კორპუსები დაკმაყოფილდა გადასახური მასალით (ტოლით)

რ. თაბუკაშვილის ქ. N179, N181, 38-32, კორპუსებთან მისასვლელ გზაზე დაიგო ასფალტის საფარი;

რ. თაბუკაშვილის ქ. N215-223- ში განხორციელდა აღნიშნული კორპუსების დამაკავშირებელი გზის მოწესრიგება;

ხუნდაძის ქუჩა კერძო დასახლებაში ძველი ლამპიონები შეიცვალა ახალი დიოდური სანათებით.

რ. თაბუკაშვილის ქ. N201-203 კორპუსის ეზოში ფანჩატურის მიმდებარედ მოხდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა და 6 ძელსაკმის დადგმა.

რ. თაბუკაშვილის ქ. N223 დასრულდა საბავშვო ატრაქციონის მონტაჟი

რ. თაბუკაშვილის კერძო დასახლებაში,მე-2,4,6,8,შესახვეთან, ს. ხუნდაძის, შ. დადიანის, თოფურიას, კ. გამსახურდიას ქუჩების კერძო დასახლებაში განთავსდა 42 ერთეული ძელსკამი.

ფ. კაკაურიძის ქ. N1 დაკმაყოფილდა გადასახური მასალით 36 ცალი ტოლი;

რ. თაბუკაშვილის ქ. N32 კორპუსთან სკვერში სპორტული ტრენაჟორის მონდაჟი განხორციელდა.

რ. თაბუკაშვილის ქ. N205-დან ავტობუსის გაჩერებამდე მისასვლელ საფეხმავლო ბილიკზე 35 მეტრიან გზაზე ასფალტის საფარის დაგება მოხდა.

კ. გამსახურდიას ქ. მე-5 შესახ. დაიგო დაახლოებით 400 კვ.მ ასფალტის საფარი.

რ. თაბუკაშვილის ქუჩა N88ა, N183 წინ და ცეკვის დარბაზ "გენის" მიმდებარედ სიჩქარის შემზღუდველები განთავსდა.

გ. მაისურაძის ქ. N9 კორპუსების ეზოში ძველ ფრენბურთის მოედანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო 160კვ.მ ასფალტის საფარი, გადაეცათ ფრენბურთი ბადე, ბურთები მოეწყო კალათბ. ფარი და განათება;

დასრულდა ნიკეა ვაკისუბანი სულხან საბას დამაკავშირებელი გზის მშენებლაბა მოეწყო ორზოლიანი და ორფენოვანი ასფალტის გზა, მოეწყო სანიაღვრე ქსელი, ტროტუარი და გარე განათება;

რ. თაბუკაშვილის ქ. NN 177-181,187-189 განხორციელდა საბავშვო ატრაქციონის საფარის მოწესრიგება

რ. თაბუკაშვილის ქ. N12_დან N38ა კორპუსების ჩათვლით 12 მრავალსართულ ბინის ეზოში გაკეთდა ახალი დიოდური სანათებით

რ. თაბუკაშვილის N223, შ. დადიანის ქ. N57 და გ. მაისურაძის ქ. N11 მიმდებარედ მოეწყო საბავშვო ატრაქციონები.

რ. თაბუკაშვილის ქ. N111, N183, N187, N 189, N197N223, N 32; კ. გამსახურდიას ქ. პირვ. ჩიხი N5; კ. გამსახურდიას ქ. N12; გ. მაისურაძის ქ. N 13, N15; ფ. კაკაურიძის ქ. N1; შ. დადიანის ქ. N57; ს. ხუნდაძის ქ. N61 საცხოვრებელ კორპუსებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.

შეხვდი და მატერიალურად დავეხმარე სარეზერვო ფონდიდან 2020 წელს 97 მოქალაქეს.

2017 წლიდან დღემდე ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

კომისია შედგება შვიდი წევრისაგან.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად ჩაერთო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2020 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახურთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 12 სხდომა,

განხილულია სულ 16 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები.

მუშაობის კოორდინირების მიზნით, თავის საქმიანობას წარმართავდა კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროექტების განხილვას, შესაბამისი წინადადებების შემუშავებას და შემდგეომ მათი პრაქტიკულად გადაწყვეტის საქმეში აქტიურად ჩართვას. ქალაქის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა 25 პროგრამაა განსაზღვრული, ესენია:

1 სამედიცინო დახმარების პროგრამა,

2. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა,

3.ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამა,

4.ლეიკოზით და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის პროგრამა,

5.ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა,

6. სარიტუალო დახმარების პროგრამა,

7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა,

8. შინ მოვლის პროგრამა,

9. უფასო მგზავრობის პროგრამა,

10 სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის პროგრამა,

11 სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა,

12 განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა,

13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა,

14 . სოციალური ღონისძიებების პროგრამა,

15. კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა,

16. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა,

17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა,

18. შშმ პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა,

19. მარტოხელა მშობელთა დამარების პროგრამა,
20. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა,

21.საქართველოს „SOS" ბავშვთა სოფლის" მიერ განხორციელებული პროექტის – დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა,

22. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა,

23. გადაუდებელი რეაგირების პროგრამა,

24. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა,

25. საბინაო ფონდის დროებითი საცხოვრისის შექმნის პროგრამა.

ზემოთაღნიშნული პროგრამები ითვალისწინებს ჩვენი მოქალაქეების ყოფითი და ყოველდღიური პრობლემების შემსუბუქებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ინტენსიური მუშაობა გასწია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად ახორციელებს კომისიისთვის კანონით დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას დისტანციურ რეჟიმში.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი

სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და

ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. საანგარიშო პეროდში კომისიამ რამდენჯერმე მოისმინა ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

ყურადღება მიექცა 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის საკითხებს.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ,,სულხან-საბას" და ,,ვაკისუბნის" მაჟორიტარი საკრებულოს წევრის, მამუკა რიჟამაძის ამომრჩევლებთან გამართული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

მამუკა რიჟამაძე